№ 10
კვირა, 14 იანვარი 1896

1877—1896

ივერია

№ 10
კვირა, 14 იანვარი 1896

რედაქცია:
სიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГАЗЕТИ ДЛИРЬ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მარიამ ესტატეს ასული მამაცაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა შვილისა თვისისა **ერეკლესი** 13 იანვარს ქ. ტფილისში, ხოლო დასაფლავება იქმნება სოფელ რუისში, 16 იანვარს. 1—1

დეკანოზი ნიკოლოზ არდაზიანი მეუღლით და შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა **ვლადიმირ ნიკოლოზის ძის არდაზიანისას**, პანაშვიდი იქმნება გარდახდილი საღამოს 7 საათზე; მიცვალებულის გასვენება 16 ი ნვარს 10 საათზე, სამების ეკლესიაში. 1—1

ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების საბჭო, თანახმად წესდების § 52 აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ კვირას, ამ წლის 28 იანვარს, დილის 11 საათზედ, ტფილისის საათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ასარჩევად გამგეობის თავმჯდომარისა ნაცვლად ნ. დ. ზუბალაშვილისა, რომელმაც უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე.

(1—1)

წამომღებს გზაში დაეკარგა დასაბეჭდად მომზადებული სახარების ფურცლები, რომელთაც ბოლოში მიწებებული აქვს ხელით ჩაწერილი შენიშვნები. მპოვნელი საჩუქარს მიიღებს, თუ ზემოხსენებულს ფურცლებს „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგენს.

ფელეტონი

ანდერძი განმანათლებელისა

(კუმეკნი კნ. ნ. ჩოდაყაშვილისას)

ოდეს წყვდიადი უგნურებისა,
მომაკვდინებელ ბოროტთა ძალა,
ჰანგი სიფლიდის და ცდუნებისა
ქრისტეს მცნების ძალს დაენაცვალა;
როს ძველს ქვეყანას ხსნისა ნათელი
განსაახლებლად გარდაეფინა
და კვლავ აღდგინდა მადლის სახელი
ლამპრად აღენთო ცხოვრების წინა—
მაშინ ამ მდიდარს და კეკლუცს მხარეს
გაუჩნდა მხსნელად უცხო ასული,
დაუცხრო სული მგმინავს, მწუხარეს,
სული მკვნესარე და წამებული;
განფანტა იქვი და უმეცრება,
ურცხვი კვეთება გაანადგურა
და ცოდვილს ერსა ქრისტეს მოძღვრება
წინ გაუძღოლა და ამსახურა;
ბომონთა ნაცვლად ვაზისა ჯვარი
მას უანდერძა სიყვარულითა,
ენა—ერობის მკვიდრი ტაძარი
აღუგო სრულის სიხარულითა;
იმ ტაძრის მცველად მწე სიყვარული
და სათნოება მან დაამყარა,
მახვილად მისცა ძმათ სიბრალული,
შენდობა ფარად გადააფარა,—
და მსწრაფლ დაიმზღვრა კერპთა დიდება,
უმეცრებისა სადიდებელი
და ეხლა ნათელს ემსახურება
დამონებული უკუნი ბნელი!..
ის იყო ნინო... ნაცვლად ამისა
ეს გვიანდერძა და დაგვიბარა:
„თვით შემომქმედმა ცის და ქვეყნისა,
ვინც რომ სიცოცხლით ჩვენ გაგვახარა,
ვინც მოგვცა სული და მეტყველება,
აზრი და გრძნობით აღსავსე გული,—
გარდმოუვლინოს ტანჯვა, წვალება,
და ჰყოს მარადის შეჩვენებული,
ვინც ქრისტეს სჯული და ქართველთ ენა,
ან ქართველობა სხვაზე გასცვალოს,
თვისი წარსული და თვისი რწმენა
რამე დიდებას დაანაცვალოს!..“
ამ საგალობელს დილის სხივები
თოთხმეტს იანვარს ცაზედა სწერენ
და საიდუმლო გრძნობის სიმები
ჰკითხულობენ და ტკბილადა ჟღერენ!..

გრ—ა.

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს 17 იანვარს, 1896 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“
დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ვალერიან გუნიას საბენეფისოდ
პირველად ახალი პიესა
I
პირველი გუზი
კომედია 3 მოქმდ. გადმოკეთებ. ველიჩკოს
პიესიდან ვალ. გუნიას მიერ
II
ცხოვრება
დრამ. სურათები 2მოქმედ. ვალ, გუნიასი

მონაწილეობას ღებულობენ: ეფ. მესხისა ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ალექს. მესხიევი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
24 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი გ. გედევანოვისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

კაგინეტი კგილის ექიმთა
ვ. ი. ჭიჭინაძისა და **ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**
ბიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ვპისრულოგ
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36
ღვინის დაყენება
პროფესორის ვას. პეტრიაშვილისა
ფასი 2 მან. 50 კაპ.
ისყიდება ამხანაგობის მაღაზიაში ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.

მთავრობის განკარგულებანი.

—

დანიშნულ იქმნა: სასჯელმწიფო ქონებათა სტავროპოლისა და თერგის გუბერნიის ტუის მცველთა უფროსად თანაშემწე, საგუბერნიო მდივანი კოჩინაშვილი თერგის მხარის გროზნის 2 სატუეოს ტუის მცველთა უფროსის თანაშემწედ და ამ სატუეოსთან არსებულ სატუეო სკოლის მასწავლებლად.

ხელმწიფე იმპერატორმა სასჯელო საქმეთა მინისტრის უმაღლესი მოხსენებით ტფილისის გუბერნიის, საქობლიანოს ტუის მცველთა უფროსად ნამყოფ ჩივაძეზე, რომელიც სამართალში იყო მიცემული, უმოწყალესად ბრძანა: კოლეგიესკი სეკრეტარს ჩივაძეს კანონით გარდაწყვეტილი სასჯელი შეუკვლოს ერთის წლით ციხეში დაპატიმრებით უფლებათა და ქონების ჩამოურთმევლად.

გრიგოლ საჩინოს ძე ბარათაშვილი, რომელიც ქუთაისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით 4 ნოემბერს 1895 წ. ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც კაცთა შორის იყო ჩარიცხული, დეპარტამენტთა საზოგადო კრების დადგენილებით 18 დეკემბერს 1895 წელს იგი შეტანილ იქმნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ნაფიც კაცთა სიაში.

ტფილისი, 14 იანვარი.

—

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ქრონიკაში დასტამბულია ოდესიდამ კერძოთ მოსული ცნობა, რომ იქ, ახალწლიწად ღამეს, ოდესის ქართველობას უდღესასწაულია 25 წლის იუბილე პროფესორ ვ. მ. პეტრიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

შარშანდელს ჩვენს იუბილეებს კიდევ ემატება ამ რიგად ეს მეტად მნიშვნელოვანი დღესასწაული! ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც რუსეთის სამეცნიერო წრეებში დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ ქართველი კაცი ვერ გახდება ნამდვილ მეცნიერად, იმდენად ვერ შეითვისებს რომელსამე სპეციალურს საგანს, რომ იკისროს, მაგალითად, პროფესორობა რუსეთის უნივერსიტეტშიო. ამ ჟამად ამგვარს ახირებულს იქვიანობას ადგილი აღარა აქვს იმ ქართველთა წყალობით, რომელნიც ღირსეულად და ბრწყინვალედ იღწვიან დღეს სამეცნიერო ასპარეზზე. ეს იქვიანობა კომიკურ შთაბეჭდილებასაც ახდენს, როდესაც გავიხსენებთ, რა დიდის ამბით იდღესასწაულა რუსეთის საზოგადოებამ შარშან პროფ. თავად თარხნიშვილის იუბილე, რა სახელი მოიხვეჭა ამ პროფესორმა არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც, როგორც ნიჭიერმა მეცნიერმა და გამოჩენილმა პროფესორმა.

როგორც პეტერბურგში თარხნიშვილი, ისე ოდესაში ვ. პეტრიაშვილი დამამშვენებელია უნივერსიტეტისა და ცნობილია ყველგან ნიჭიერ და მშრომელ მეცნიერად. აუარებელი გამოკვლევანი ვ. პეტრიაშვილისა ქიმიის შესახებ გაბნეულნი არიან რუსულსა და უმეტესად ევროპიულს სამეცნიერო ჟურნალებში და ამ გამოკვლევებმა, საუცხოვო პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, მოუპოვეს მას დიდი პატივისცემა სამეცნიერო წრეებში.

ვ. პეტრიაშვილის მოღვაწეობაში ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი გარემოება, რომელსაც ვერ ვხედავთ სხვა მეცნიერ ქართველთა შორის, გარდა ქართულ ენის პატივცემულ პროფესორთა შორის, რასაკვირველია. ჩვენ ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბ. პეტრიაშვილს კი ვიცით წმ. ნინოს ვინაობა. ჯერაც მისი სახელ-წოდება სადავო საგანს შეადგენს. საქართველოს მატიანეში დაწვრილებით მოთხრობილია ნინოს ცხოვრება, მისი მოღვაწეობა და მეტადრე სასწაულთ-მოქმედება, მაგრამ ყველა ამას გარკვევა და გამოკვლევა ესაჭიროება, ხოლო აქამომდე ისტორიულს მეცნიერებას მარჯვედ ხელი არ მოუკიდია ამ საქმისათვის. ამას წინად აღმოჩნდა ახალი საისტორიო მასალა —„ქართლის მოქცევა“, რომელიც საკამათო შეიქნა ჩვენის მეცნიერთათვის და რომელიც სხვა სხივსა ჰფენს წმ. ნინოს ცხოვრებას. გამოაშკარავდა, რომ შემდეგ აღუწერიათ ის მრავალნი სასწაულნი, რომელნიც ასე უხვად მოიპოებიან ნინოს ცხოვრებაში. პირვანდელი ხელნაწერი მოგვითხრობს მარტო ერთად-ერთს სასწაულს—წმ. ნინოს მკურნალების ძალას... რასაკვირველია, თუმცა ეს ახლად აღმოჩენილი ამბავი სრული ჭეშმარიტებაც იყვეს, იგი მაინც იოტისტოლადაც ვერ დაამცირებს ჩვენის განმანათლებელის დიდსა და ფრიად მნიშვნელოვანს ღვაწლსა. ჩვენთვის სავალალო უფრო ის არის, რომ საქართველოს განმანათლებელის ცხოვრება და მოღვაწეობა ახლაც სხივ და ნათელ მოუფენელია, ახლაც ისტორია ქრისტიანობის დაარსებისა ჩვენში ნისლითა დ ბურუსით მოცულია. ასე გასინჯეთ, უცილობლად ისიც-კი არ ვიცი.—სახელდობრ როდის მოვიდა წმ. ნინო და რომელ წელს მიიღო საქართველომ ქრისტიანობა...

ყველა ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ დაგვენახვებინა, თუ რა საძნელო და საძძიმოა წმ. ნინოს ცხოვრების ნამდვილად აღწერა. ჩვენც არა გვსურს მისი ცხოვრება მოვუთხროთ მკითხველს. აქ დავსძენთ მხოლოდ, რომ საქართველოს განათლება და გაქრისტიანება ქალს ჰხვდა წილად და ამ სუსტმა არსებამ შეასრულა ეს დიდი და საქებარი საქმე. ჩვენის აზრით, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანიც ეს არის, რომ ძველ დროიდგანვე საქართველოში ქალს პატივი უხვად ჰქონდა მინიჭებული. პირველადვე ქალმა ჩასდგა ბურჯი ახალის ცხოვრებისა, ქალმა იტვირთა ბრძოლა სიბნელესთან, ძლევა-მოსილი გამოვიდა ამ ბრძოლიდგან და, რასაკვირველია, უნებლიედაც დაიმსახურა მადლობა და პატივისცემა. შემდეგის თაობისა“

ფიქრი დღევანდელის დღესასწაულის გამო.
(საისტორიო ნაწყვეტი)

წმიდა ნინო, რომელსაც ჩვენი საეკლესიო ისტორია მოციქულთა სწორს უწოდებს, საქართველოს განმანათლებლად აღიარებულია და ამიტომ დღევანდელი დღე ყველა ქართველისათვის საეროვნო დღესასწაულს შეადგენს. მართალია, ვიდრე წმ. ნინო მოვიდოდა ჩვენს სამშობლოში, ანდრია მოციქულმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ერის განათლებას, მაგრამ მაინც წმ. ნინოს მეოხებით ქრისტიანობა შეიქმნა და გარდიქცა სახელმწიფოებრივ საწმუნოებად. მხოლოდ ნინოს გულმხურვალე ქადაგებამ, მისმა დაუშრეტელმა სულის ძალამ და აღგზნებულმა საწმუნოებრივმა გრძნობამ საბოლოოდ დაამხო კერპნი და ბომონნი, შემუსრა ქურუმნი და მსახურნი მათნი. მიზეზიც აქ არის, რომ არც ერთს წმინდანს ჩვენში ისეთი პატივი და დიდება არა აქვს, როგორიც წმ. ნინოსა.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ აქამომდე ჩვენ ბეჯითად და უტყუვრად არცნათლებელის ცხოვრება და მოღვაწეობა ახლაც სხივ და ნათელ მოუფენელია, ახლაც ისტორია ქრისტიანობის დაარსებისა ჩვენში ნისლითა დ ბურუსით მოცულია. ასე გასინჯეთ, უცილობლად ისიც-კი არ ვიცი.—სახელდობრ როდის მოვიდა წმ. ნინო და რომელ წელს მიიღო საქართველომ ქრისტიანობა...

ყველა ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ დაგვენახვებინა, თუ რა საძნელო და საძძიმოა წმ. ნინოს ცხოვრების ნამდვილად აღწერა. ჩვენც არა გვსურს მისი ცხოვრება მოვუთხროთ მკითხველს. აქ დავსძენთ მხოლოდ, რომ საქართველოს განათლება და გაქრისტიანება ქალს ჰხვდა წილად და ამ სუსტმა არსებამ შეასრულა ეს დიდი და საქებარი საქმე. ჩვენის აზრით, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანიც ეს არის, რომ ძველ დროიდგანვე საქართველოში ქალს პატივი უხვად ჰქონდა მინიჭებული. პირველადვე ქალმა ჩასდგა ბურჯი ახალის ცხოვრებისა, ქალმა იტვირთა ბრძოლა სიბნელესთან, ძლევა-მოსილი გამოვიდა ამ ბრძოლიდგან და, რასაკვირველია, უნებლიედაც დაიმსახურა მადლობა და პატივისცემა. შემდეგის თაობისა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაუკარგავს კავშირი თვის სამშობლოსთან. იგი არის არა მარტო „მეცნიერი ქართველთაგან“, არამედ ქართველი მეცნიერიც და მოღვაწეც. ჯერ კიდევ მესამოცე წლებში ვ. პეტრიაშვილი იღებდა მონაწილეობას ახლად აღორძინებულს ქართულს ლიტერატურაში, ბოლოს დროს-კი მისი გამოკვლევანი იბეჭდებიან ჟურნალ „მოამბე“-ში და სამეურნეო გაზეთ „მეურნე“-ში. ერთი გამოკვლევა, ღვინის დაყენების შესახებ, ცსლკე წიგნადაც დაისტამბა წარსულ წლის ბოლოს. ეს გამოკვლევანი, საყოველთაო აზრით, დიდს განძს შეადგენდნენ უცხო მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაშიაც. უკანასკნელ წლებში ვ. პეტრიაშვილი ისე სისტემატიურად და სიყვარულით შეუდგა ქართულს ლიტერატურაში მუშაობის, რომ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ—მას განუზრახავს განუწყვეტლივ იმოღვაწოს ამ ასპარეზზედაც. ხოლო რა დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება ჩვენის ქვეყნისთვის ამგვარს მოღვაწეობას, ამის შესახებ ლაპარაკი, ვგონებ, საჭირო არ არის, ისე ცხადია ყველასათვის.

ამ პატივცემულის პროფესორის მოღვაწეობას აქვს კიდევ ერთი იმგვარი ხასიათი, რომლის მნიშვნელობა სწორეთ განუზომელია. 25 წლის განმავლობაში ვ. პეტრიაშვილისა და ოდესის ქართველ სტუდენტთა შორის არსებობდა ჯ უთუოდ არსებობს დღესაც შესანიშნავი, არა ჩვეულებრივი, ზნეობრივი კავშირი. ამ კავშირს მეტად დიდი გავლენა ჰქონდა ოდესის ქართველ სტუდენტების ყოველ თაობაზე. პეტრიაშვილის ოჯახი ნამდვილ დედ-მამობას უწევდა უცხო ქვეყანაში მყოფ ახალგაზდობას და ამიტომაც არის, რომ ოდესაში ნამყოფ ქართველ სტუდენტისათვის საუკეთესო მოსაგონებელ მომენტად ყოველთვის არის ამ ოჯახთან დამოკიდებულება და კავშირი...

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ ღირებულმა მუშაკმა თანხმობა განაცხადა მიიღოს ხელმძღვანელობა მომავალის საშუალო სამეურნეო სასწავლებლისა საქართველოში. თუ ქართველ საზოგადოების იმედი და განზრახვა განხორციელდება და დაარსდება ჩვენში ზემოხსენებული სასწავლებელი, ამ სასწავლებლის ბედ ილბალისათვის და მომავალისათვის უკეთესს პატრონსა და მზრუნველს ჩვენ ვერც ვინატრებდით.

დიდის სიხარულით და ღრმა პატივისცემით ვეგებებით მეტად პატიოსანის მოღვაწის და სასიქადულო მეცნიერის დღესასწაულს, ვისურვებთ მისთვის დღეგრძელობას ჩვენის ქვეყნის სასახელოთ და სასარგებლოთ.

ლალი.

ახალი ამბავი

*** დღეს, 14 იანვარს, მოციქულთა თანასწორისა წმ. ნინოს დღესასწაულს, სიონის ტაძარში მწირველი იქნება ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე სამღვდელოებითურთ. იგალობებს ორი გუნდი მგალობელთა: ერთი—მამა კარბელაშვილის ლოტბარობით და მეორე—ბ. ქორიძის ლოტბარობით. მეორე გუნდი იგალობებს ახლად დასტამბულ ნოტების საშუალებით.

*** მოგვვიდა ანგარიში „კავკასიურ საღამოსი“, რომელიც 1895 წელს, 25 დეკემბერს იქმნა გამართული კავკავის საქალაქო საკრებულოს სადგომში ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში წყალ დიდობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. შემოვიდა სულ 1146 მ. 60 კ. აქედამ ბუფეტისა შემოვიდა 259 მან. 60 კ. და ბილეთებისა 887 მან. პრემიები და შემოწირულებანი მოგვვიდა: გრაფის ბორხისაგან, ბარონესსა ე. პ. შტეინგელისა და ბარონის ვ. რ. შტეინგელისაგან, მ. ს. კერბედზისა, ხანშა იბრაგიმბეგოვისა, ქ-ნ მურავიოვისა, ე. გ. ბეგულოვისა, კ. აბაშიძისა, დ. ზ. სარაჯაშვილისა, თავ. სიდომონ-ერისთავისა, ბბ-თ ელიაძისა, შავგულიძისა და კოჯოიანცისაგან. დაიხარჯა სულ 642 მან. 66 კაპ.: ბუფეტზე 249 მან. 28 კ., ელექტრონით განათებაზე—30 მან. 75 კ., მარკებზე იმპერატრიცა მარიამის დაწესებულების სასარგებლოდ 54 მან. 70 კ., კოტილიონისათვის—38 მან. 60 კ., მემუსიკეთ—48 მან., შვეიცარებს 10 მან., განათებასა და სახლების გათბობაზე—14 მან. 75 კ., გროტისა და შადრევანის გამართვის და სადგომის მოწყობისა თვის—142 მან., სუვალოვს სასტამბოსამუშაოში—10 მან. და სხვა ხარჯიც 42 მ. და 58 კ. წმინდა მოგება დარჩა 503 მან. 94 კ.

დიასახლისი საღამოსი კნეინა მ. ზ. ჭავჭავაძისა და გამგენი გულითადი მადლობას უძღვნიან მხატვრებს ა. ბ. მოდეისკსა და ლ. ლ. სტროინოვსკის და ელექტრო-ტეხნიკოსებს ა. ფ. ვილგას, კ. ო. ზეიდლერსა და ბ-ნს ნეველროვსკის, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით და დიდი დრო მოანდომეს სადგომის მოწყობასა და ელექტრონით განათებას.—კავკავის საქალაქო საკრებულოს უხუცესთა საბჭოს, რომელმაც სადგომი უფასოდ დაუთმო და აგრეთვე იმათ, ვინც საღამოს დახმარება აღმოუჩინეს: ბარონესა ე.პ.—სა და ბარონს ვ.რ. შტეინგელებს, ს. დ. ბელზეცკისას, ს. ი. ბელზეცკის, პოლკოვნიკს კუსოვს. მ. ა. გეიდარსა და კავკავის ვაჭარს აჯიევს.

*** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ტფილისში დაუბარებიათ ფინლიანდიიდამ ქალი - მასწავლებელი ქსოვის ანუ უკედ ვსთქვათ, საფეიქრო ხელთ-საქმისა, ვითომ აქაურ პროფესიონალურ სკოლისათვის. ფინლიანდიის გაზეთებში გამოცხადებულია, რომ ტფილისში წასასვლელად თანხმა გამხდარა ქ-ნი კანსანენი, რომელსაც შარშან შემოდგომაზე გაუთავებია სწავლა ჰელსინფორგის პროფესიონალურ სკოლაში.

*** პეტერბურგიდამ იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი დანიშნულ იქმნება მოსკოვის გენერალ-გუბერნატორადაო.

*** შინაგან საქმეთა სამინოსტროს შეუწყნარებია ტფილისის გუბერნატორის პროექტი შესახებ აბასთუმანში პოლიციის შტატის დაარსებისა. ამ პროექტისამებრ, აბასთუმანში არსდება პოლიცია: ერთი პოლიციის ბოქაული, ერთი თანაშემწე, ორი უფროსი პოლიციის მოხელე და თხუთმეტი უმცროსი მოხელენი.

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში დაბრუნდება ტფილისს

*** ბუხარის ემირი ტფილისში ჩამოვა აპრილის ნახევარს და აქედან გაემგზავრება მოსკოვს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად

*** ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ გამართულ ღამის თავ-შესაფარში გასულს დეკემბერში ყოფილა სულ 1173 კაცი, ე. ი. დღეში 106 კაცი. იმავე თვის განმავლობაში ჩაი მიუციათ 635 კაცისათვის.

*** ტფილისს პოლიციამ ამ დღეებში აღმოაჩინა ქურდი, რომელსაც გაუძარცვავს გორის სასწავლებლის ინსპექტორის ბ-ნ მამალაძის სახლი, საიდგანაც წაუღია სხვა-სხვა ნივთეულობა 1417 მან. და 50 კაპ. და ფულად 550 მან. თუმცა იჭვი ბ-ნმა მამალაძემ ვიღაცა გ—ზე გამოაცხადა, მაგრამ ქურდი საცხენისის მცხოვრები ს. კ—შვილი აღმოჩნდა. მოპარულიდამ ზოგი რამ უკვე იპოვნეს.

*** კბილის სამკურნალო კაბინეტი ტფილისის საქალაქო ცენტრალურ სამკურნალოში თებერვლის ნახევარში გაიხსნება.

*** გზათა სამინისტროს გადაუდევია ასი ათასი მანეთი, რომ გემებისა და ხომალდების მისაყენებელი ადგილი სოხუმში გაადიდონ. ეხლანდელი მისაყენებელი ადგილი უნდა წინ, ზღვაში წასწიონ 611 საჟენზე და დააყენონ, საცა 19 ს ფუტის სიღრმე დაიწყება. სოხუმის ნავთსადგური ძალიან კარგი უშიშარი ადგილია გემებისა და ხომალდებისათვის და რადგანაც თვით გარეშემო სოხუმისა მეტად მდიდარი და მომცემი ქვეყანაა, იმედიაო, ამბობს „რუსკია ვედომოსტ“-ი რომ აქ საგაისოდ დიდი ხილის ბაღები და ვენახები დაიმართებაო.

*** რედაქციაში წარმოადგინეს მაჩხაანის დეპოს საწყვრო ფული 100 მან. ილია მიხეილის ძემ ხარაშვილმა და 10 მან. ანტონ ნატროშვილმა.

*** ჩვენ ვნახეთ ფოსტის ქაღალდი, რომელზედაც ბ-ნს ტატიშვილს საუცხოოდ და ლამაზად ამოუჭრია გადახვეული ასოები „ნინო“ და შეუმკია ყვავილებით. ასოები სხვადა სხვა ფერადებისაა ფოსტის ქაღალდზე. ეს ფოსტის ქაღალდი სწორედ მშვენიერს საჩუქარს წარმოადგენს ამ ქართველთათვის ფრიად მვიშვნელოვანს დღეს, როდესაც ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღეს ვდღესასწაულობთ.

*** ტფილისის გუბერნიის სხვადა-სხვა ადგილას, უმეტესად-კი საგარაკო დაბა-ქალაქების, მაგალითად, სურამისა და ხაშურის ახლო, არის ბლომათ პატარ-პატარა ნაჭრები მიწისა, რომელნიც ხაზინას ეკუთვნიან. ამ ჟამად ეს მამულები თითქმის არავითარს შემოსავალს არ აძლევენ ხაზინას. საგარაკო ადგილებიდან შემოსავლის გასაძლიერებლათ სახელმწიფო ქონებათა გამგეობას განუზრახავს გასცეს ეს ადგილები იჯარით ხანგრძლივის ვადით საგარაკო შენობათა ასაგებათ. ამ ჟამად ხსენებული გამგეობა აგროვებს ცნობებს, რათა შუამდგომლობა წარუდგინოს სამინისტროს და ნებართვა აიღოს ადგილების იჯარით გაცემისათვის. (ტფ. ლ).

*** ინჟ. გორჩაკოვი, რომელიც დაზიანებულ რკინის გზის შესაკეთებლათ იყო გამოგზავნილი პეტერბურგიდან, 12 იანვარს წავიდა პეტერბურგს.

*** „ჩერნ. ვ.“-ის საგანგებო დეპეშა ამბობს, რომ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევის დღეთ არჩეულია 12 მაისი.

*** იქვე დასტამბული დეპეშა ამბობს, რომ რუსეთის საყოველთაო

თვის ნინოს სამაგალითო მოღვაწეობა სახელმძღვანელოდ გარდაიქცა და საქართველოს ქალნი, თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებიანო, თავს არ ზოგავდნენ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, როდესაც ამას გარემოება მოითხოვდა. საქართველოს საეკლესიო ისტორია სავსეა საოცარის თავ-განწირულებით, რომელსაც, გაჭირვების დროს, დედა-კაცნი იჩენდნენ...

ქრისტიანობამ სრულიად შესცვალა საქართველოს ზნეობრივი სახე, მისი ცხოვრება, წყობილება, გარეგანი დამოკიდებულება. დროთა და ჟამთა განმავლობაში ქრისტიანობამ ისეთი ძალა და გავლენა მოიპოვა, რომ ქართველს, ამ მოძღვრების გარდა, სხვა იდეალი და მისწრაფება აღარა სწამდა და ყველაფერს ქრისტიანობას სწირავდა ზვარაკად, მსხვერპლად. ამის გამო ხშირად ჩვენს სამშობლოს დიდი უბედურება ატყდებოდა თავს,—საქართველო სისხლის ღვრის მოედნად გარდიქცეოდა ხოლმე მარტო იმიტომ, რომ ქრისტიანობას აღიარებდა. საძწუხაროა, როცა ნუგეშისა და სასოების აღსარება ცრემლს აღვრევინებს თვით აღმსარებელს!.. მაგრამ ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს სამეფომ თავისი პირდაპირი დანიშნულება და საგანი დასტოვა, თუ ვერ შეიგნო და მთლად სააქაო სიბრძნე მართლ-მადიდებლობაში ჰპოვა. რასაკვირველია, არც ერთი სამეფო მარტო სარწმუნოებით ცოცხალ არა არს და საქართველომ-კი უარ-ჰყო ეს საპოლიტიკო მცნება. ეს დიდს შეცდომას შეადგენდა. შედეგი ამ შეცდომისა ცხადია ყველასათვის, ვისაც ისტორიული ალღო აქვს. რაც უნდა იყვეს, ქრისტიანობამ მაინც დიდი სიკეთე მოუტანა ჩვენს სამშობლოს და არა ვგონებთ, საქართველოსათვის უფრო სახეირო ყოფილიყო ირანის სარწმუნოებრივი ბატონობა, ვიდრე ბიზანტიისა...

პირველ დროინდელი საკერპო მოძღვრება სხვა ხასიათისა იყო. ჩვენებური კერპთ-თაყვანისმცემლობა უფრო პოეზიის ნაყოფს შეადგენდა, საბერძნეთის მითოლოგიას, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, გავლენა ჰქონდა საქართველოზედ და ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეს ბერძნების ღმერთები ამშვენებდნენ. აწინდელს ფოთში მშვენიერების ღმერთი—ვენერა ბრწყინავდა, „თავსა ზედა მცხეთისასა“ აღმართული იყო აფროდიტა, მესხეთში ბატონობდნენ არტემი და აპოლონ და თუმცა მატიანე ამბობს, იგინი „ბილწნი ღმერთნი“ იყვნენო, მაგრამ ყველამ იცის, რომ აპოლონი ხელოვნებათა ღმერთად ითვლებოდა და არტემი კიდევ ნადირობის ბატონი იყო. რასაკვირველია, ბოროტნი კერპნიც მოიპოვებოდნენ. ამგვარ კერპებს მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ. თვით უდიდესი, გადაქართველებული არმაზი სისხლს თხოულობდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ძველი საკერპო ბომონი ერის აზრსა და გრძნობას არა სჩაგრავდა, სამეფოს თავის მონად არ ჰხდიდა. არც შეიძლებოდა, რომ კერპთ თაყვანისმცემლობას დამჩაგვრელი ძალა ჯ გავლენა ჰქონოდა, რადგანაც იგი არ წარმოადგენდა ერთს განსაზღვრულს და განსაკუთრებულს მოძღვრებას. საქმე ისაა, რომ საბერძნეთის ღმერთებს ჩვენში გვერდით სპარსეთის ბომონნი უდგნენ და იმათ კიდევ შინაურნი, ქართულნი კერპნი ებრძოდნენ. ამ სხვა-და-სხვა მოდგმის ღმერთთა ქიშპობა და შუღლი ძლიერ აფერხებდა სარწმუნოების მნიშვნელობას, მის ბატონობას და იქმნება ესეც იყო მიზეზი, რომ ასე ადვილად გაიმარჯვა ქრისტიანობამ საქართველოში...

რაც უნდა იყვეს, ეს გამარჯვება დიდად სასარგებლო იყო ქვეყნისათვის. ძველი ბომონი, თუმცა უფრო პოეტურს ქმნილებას შეადგენდა, მაგრამ, ზნეობრივის მხრით, ფუყე იყო. მართალია, ზოროასტრის მოძღვრება, რომელსაც ფარნაოზ მეფემ გზა გაუხსნა საქართველოში, ბევრს საზნეო ჭეშმარიტებასაც ჰქადაგებდა (ნუ მოიპარავთ, ნუ იცრუვებთ, ნუ ბიწიერ იქმნებით და სხვ. ამისთანები), მაგრამ იმ მოძღვრებას ფრთები შეკვეცილი ჰქონდა და საკაცობრიო იდეალს მოკლებული იყო. ზოროასტრის სწავლამ არ იცოდა, თუ რა არის ის ვრცელი ურთიერთი სიყვარული, რომელიც კაცთა საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ერს აკავშირებს და რომელიც ჭეშმარიტის ზნეობის ქვა-კუთხედია. ქრისტიანობა-კი სწორედ ამ ქვა-კუთხედზედ დაფუძნდა და კაცობრიობას მაღალი და ცხოველ-მყოფელი აზრი აუწყა. სამწუხაროდ, ბიზანტიის ხელში ქრისტიანობა უფრო დოღმატურს კამათობას და ვარჯიშს გაჰყვა, ფორმას და გარეგნობას შეალია ძალ-ღონე, მადლის მომნიჭებელი ზნეობრივი მოძღვრება თითქმის უყურადღებოდ დასტოვა და ამის გამო, ცოტა არ იყვეს, ასცდა თავისს მაღალს იდეალს. ბიზანტიის გავლენის ქვეშ საქართველოც იმყოფებოდა და აქაც ის მოხდა, რაც ბიზანტიაში, მაგრამ მაინც ქრისტიანობამ ზნეობრივად აღამაღლა ჩვენი სამშობლო და გონებრივად განანათლა. თუ ქრისტიანობა არ ყოფილიყო, საქართველოს თავ-გადასავალი სხვაფრივი იქნებოდა. ეხლა-კი ეს პატარა ქვეყანაც ცოცხალ არს, იღვწის, მოქმედებს, თავისს და იქნება... სხვების საბედნიეროდაც. ქრისტიანობაა იმის მიზეზი, რომ ეს ტურფა და კეკლუცი ქვეყანაც კაცობრიობის განათლებას დაეწაფა და თავისი წვლილი შეიტანა და შეაქვს კიდეც საზოგადო სალაროში. ეს დიდი საქმე წმ. ნინოდამ დაიწყო, იმან დააფუძნა საქართველოში ქრისტიანობა და საქართველოც არასოდეს არ დაივიწყებს თავისს განმანათლებელს. ჩვენმა კურთხეულმა და მადლიანმა სამშობლომ არ იცის დავიწყება თავისის ერთგულის შვილებისა!..

ნ. ურბნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა ნიჟნი-ნოვგოროდში გაიხსნება 15 მაისს.

*** გაზეთი „ნოვოსტი“ ამბობს: ხმა არის, ვითომც დანიშნული იქნება სენატორთა რევიზია კავკასიაში სენატორის ბარონის იკსკულის თავმჯდომარეობითო.

*** ხვალ, 15 იანვარს, ტფილისის საბჭოს კრებაზე სხვათა შორის არჩეულ იქნება ქალაქის მოურავის მოადგილე; განხილულ იქნება აგრეთვე ქალაქის მოურავის წინადადება, რომ ციციშვილის აღმართის შესაკეთებლათ კრედიტი იქმნას გადადებული და გაირჩევა თხოვნა მეტივეთა წყალდიდობისაგან ზარალის შევსების შესახებ: ეს საგნები უკვე კარგა ხანია დანიშნული იყო გასარჩევად.

შეცდომის გასწორება.

—

გუშინდელს ნომერში, ერთი ახალ ამბავის ბოლო და ორი ამბავიც მთელად, მეტრანსპაჟის შეცდომით, ჩატანილია ფელეტონში და დასტამბულია ვაჟა-ფშაველას ლექსში.

კორესპონდენცია.

—

ს. ხრიალეთი, (გურია). გამუდმებულმა წვიმებმა ლამის სული ამოგვკრთვას. სან-და-სან ღმერთი მოგვხედავს და გამოიხედავს სოლმე მზე, მაგრამ ერთის დღის დარმა როგორ უნდა გაავშროს წყლით გაჟღენთილი და მთლად ატალახებული მიწა. ყველაფრის მოსაგალი ჩვენში წარსულ წლებთან შედარებით ნაკლები იყო. ახლა კიდევ ავდრების გამო ყოველგვარი მუშაობა შეუძლებელია. თუ ასეთი დარები დაიჭირა, ვერაფერი სასეირო წელიწადი დაგვიდგება.

არ შეიძლება ამ საერთო დაღონების დროს მკითხველს ერთი სასიამოვნო ამბავიც არ გავუზიაროთ. ამ წლის 6 იანვარს წყალგურთხეკის შემდეგ მამასახლისმა დაიძახა: მეკუნე კაცებს გურიელი გიბარებსთ „საჟანულებზედ“ უნდა მოგველაპარაკოსთ. გლეხები მამასახლისს გაჰყვნენ. კინ იცის, რამდენს უკადა ტანში ურუანტელი, როცა უნებლიედ აგონდებოდათ თავად გურიელებს მამულის მზრუნველის ამგვარიგე მოლაპარაკება 1894 წ. 15 აგვისტოს, როდესაც პატივცემულმა მზრუნველმა გაჭაღარავებული და დაბეჩავებული გლეხებისაგან „საჟანულის“ შემცირების თხოვნაზე ასე უპასუხა მათ: „გინდა ისადეთ ქტეკაზე თექვსმეტი ფუთი დალა და გინდ თავი დანებეთ საგურიელოსო“. რასაკვირველია ბ-ნი მზრუნველი წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ გლეხი კარსად წაუვიდოდა, თუ გინდ თექვსმეტი ფუთის მაგიერ ოცდა-ხუთი ეთქვა.

წარმოიდგინეთ გლეხების სიხარული, როცა იმათ თავადი კ. გურიელისაგან დაახლოვებით შემდეგი გაიგონეს. ჩემო ძმებო! მე კხედავ თქვენს გაჭირვებას და ჭირ-კარამს; მე მინდა თქვენ დაგეხმაროთ; ამისთვის მომაკადი წლიდამ ეოველ გვარს საშუალებას ვიხმარ შეკამცირო „საჟანულები“, ამასთანავე მიკხედავ მიწის აკ-კარგიანობას: რამდენადაც ნაადაგი მდებიოა, იმდენად „საჟანული“ ნაკლები იქნება: ზოგი მიწა გაიცემა სამეხუთედოთ, სამეექვსედოთ, სამეშვიდედოთ და სხ. მე იმედი მაქვს ისე მოგაწყობ საქმეს, რომ თქვენ უმადური არ დამრჩეთ.

გლეხების სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. ჭეშმარიტად სასიხარულოა, როცა კხედავთ, რომ თავადი კ. გ—ლი დაკვირვებია ჩვენი გლეხების სიღარიბეს და საშუალებას ხმარობს დახმარება გაუწიოს მათ; ჭეშმარიტად სასიამოვნოა, რომ მას თავისი მამულის წარმოება თითონვე უკისრნია და პირდაპირ თავისთან დაუკავშირებია გლეხის ბედ-იღბალი.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დიდამ „საჟანულების“ საქმე ჩვენის გლეხებისთვის სასურველად მოეწყობა და მასთანვე მოისპობა გლეხების ისე უნოდ დრტვინვა, რომელიც მარტო სოფლის მეთვალყურეს შეუძლიან გაიგოს. მეტად მოსაწონია „საჟანულების“ აღება ნაადაგის მიხედვით, რაც ამდენს ხანს ფიქრადაც არ მოსდიოდათ ბ-ნთ მზრუნველებს, რომელთაც თექვსმეტი ფუთიო გადასჭრეს უბედურის გლეხის ბედ-იღბალი.

გაიგონეს თუ არა თავადის კ. გ—ლის სიტყვა ზოგიერთმა სოფლის ჭკვიანებმა, მაშინვე სოფლის ზურგზედ განავარდების მადა აუშალათ და მოინდომეს იჯარით აღებოთ თავად გურიელების მიწები „სასაჟანულოდ“; შემდეგ-კი საწყალ გლეხებს, სომ იცით, ეს ჯაჟ-ბატონები გინდ „ბუქნას“ ათამაშებდნენ და გინდ „ფერხულს“. თავადმა კ. გ—ლმა იმათ „ციცი უარი“ უთხრა.

რადგანაც თავადმა ერთხელ სთქვა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის გლეხების ბედ-იღბალს პირ-და-პირ თავისთან დაიკავშირებს და სოფლის მეზობლებით ჯიბის გასქელებაზე დაჩვეულებს არ ჩაუგდებს სელში საჯიჯგნელად. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს პირველი ნაბიჯი ჩვენის გლეხების ეკონომიურ მხარის გაუმჯობესებისა უკანასკნელი არ იქნება მებატონეების მხრით.

კინატროთ, რომ ამათთვის სხვა მიწის პატრონებსაც მიებაძოთ.

ხ—ლი მუშა.

1896 წ. 11 იანვარი.

სიტყვა თქმული ქუთაისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე თავად-აზნაურთა წინაშეძღოლის თავ. სვიმონ წერეთლის მიერ.

„ამ ბოლოს დროს ბევრმა თქვენგან არა ერთხელ მომმართა კითხვით, რას ჰნიშნავს ის გარემოება, რომ სატახტო ქალაქების ზოგიერთი გაზეთები ჰბეჭდავენ წერილებს, სადაც თავს იჩენს რაღაცა არა მეგობრული დამოკიდებულება და სისტემატიური დევნა საზოგადოდ ადგილობრივის ელემენტისაო. მე მარწმუნებდნენ, რომ როგორც თავად-აზნაურობა, ისე დანარჩენი ხალხი შეშფოთებული და შეძრწუნებულია იმის გამო, რომ ზოგიერთი, ვითომ და გავლენიანნი, გაზეთები ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულან, შეძრწუნებულია მით უფრო, რომ ასეთი ამხედრება, საზოგადო აზრით, ჩვენ სრულიადაც არაფრით არ გამოგვიწვევია. იმათ, ვინც მომმართავდა ხოლმე გაეგო ჩემგან რა არის მიზეზი ასეთის სამწუხარო მოვლენისა, მე მოკლედ შევნიშნავდი ხოლმე, რომ სატახტო ქალაქების გაზეთების კავკასიელ კორესპონდენტების ნაწერებში, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ არიან მომართულნი, სრულიადაც არ იხატება არც შეხედულება რუსეთის სახელმწიფო წრეებისა, არც თვით რუსეთის საზოგადოების აზრი-მეთქი. ამასვე გავიმეორებ ეხლა და დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს მოკლე შენიშვნა სრულიად გაჰფანტავს ყოველგვარს ეჭვს, თუ რომ ეს ეჭვი ჩვენ თავად-აზნაურთაგან ვისმე აწუხებს რა მნიშვნელობა და ხასიათი აქვს ერთისა ან ორის სატახტო ქალაქის გაზეთის ჩვენ წინააღმდეგ ასე ამხედრებას.

„ბატონებო! თუ რომ ღრმად ჩავუკვირდებით ჩვენს საკუთარს ისტორიას, ჩავუკვირდებით რუსეთის ჩვენთან დამოკიდებულებათა ისტორიას, მაშინ არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ, რომ სახელმწიფოს უმაღლესი წრეები, და თვით რუსეთის საზოგადოება, მაშასადამე, ჟურნალ-გაზეთობაც მხოლოდ სიყვარულითა და ნდობით გვეპყრობიან და არა სხვაფრივ. ის ხომ ყველამ ნამდვილად იცის, რომ ჩვენ, ქართველები, დამორჩილებული ხალხი არა ვართ, არამედ ჩვენის ნებით შევუერთდით ჩვენსავე ერთმორწმუნე ერს რუსეთისას. ის ვინ არ იცის, რომ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ენისათვის თავ-განწირულად ვიბრძოდით წინააღმდეგ ძლიერის მტრებისა, რომელნიც ყველა მხრიდამ გვავიწროებდნენ. ყოველივე ეს დიდს ღვაწლს თხოულობდა, დიდ სისხლის ფასად გვიღირდა; მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბედი ჩვენი მუდამ ცვალებადობდა, ჩვენ მაინც არ დავეცით მუსლიმანთა ბრბოთა უსწორო ბრძოლაში, იმ ბრბოთა, რომელთაც შიშსა და მორჩილებას ქვეშე ჰყავდათ აღმოსავლეთი და დასავლეთშიაც ძლევა-მოსილად გასდგეს ფეხი. ყველაფერი, რაც-კი რამ ჩვენთვის ძვირფასი იყო და რისთვისაც ბედის წინაშე ასეთის მორჩილებით ვზიდავდით საუკუნოთა განმავლობაში მოწამებრივს გვირგვინისა და ქრისტეს ჯვარს, შევიძელით ხელშეუხებლივ შეგვენახა XIX საუკუნემდე. აქ-კი ჯვრისა და სახარების მტრებთან საუკუნოების განმავლობაში ბრძოლით დაქანცულთ ჩვენ მივმართეთ თხოვნით ერთმორწმუნესა და ძლიერს სახელმწიფოს, რათა ჩვენის ისტორიულის სამკვიდროთი მივეღეთ მას თავისს მაღალს მფარველობის ქვეშ. რუსეთის დიდსულოვანმა მონარქებმაც, რომელნიც მუდამ სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდნენ ქრისტეს მორწმუნე საქართველოს და მისს სამსახურს ქრისტიანობისა და კაცობრიობის წინაშე აფასებდნენ, ისმინეს ხმა ჩვენის ერისა, რომელიც ქრისტიანობის უკანასკნელს სიმაგრეს წარმოადგენდა მაშინ მთელს აღმოსავლეთში და რუსეთის დიდს ოჯახს შაგვაერთეს იმავე უფლებებით, როგორც მისნი ნამდვილნი შვილნი. იმ დღიდამ, რაც საქართველო რუსეთს შეურთდა, ვიდრე დღევანდლამდე მთავრობის ჩვენდა მომართ დამოკიდებულება არაფრით არ შეცვლილა, მით უფრო, რომ ჩვენ მიზეზი არავისთვის მიგვიცია; ჩვენ მუდამ რუსეთის მონარქების ერთგული ქვეშევრდომნი ვიყავით. მშვიდობიანობის დროს მუდამ რუსეთის იმპერიის ერთგულნი და თავ გადადებულნი მამულის-შვილნი ვიყავით, ხოლო ომის დროს რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედრობასთან ერთად ვლვრიდით სისხლს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ამრიგად ჩვენც და ჩვენნი მამა და პაპანიც მუდამ მონაწილეობას ვიღებდით რუსეთის მხედრობასთან ერთად და ერთად ვიღწვოდით ჩვენის საერთო მამულის სასახელოდ. მაშასადამე, ცილს გვწამებენ ისინი, ვინც ამბობს, რომ ჩვენ სანდო ხალხი არა ვართ, რომ ჩვენ სახელმწიფო ცხოვრების მთავართ აზრთა ვმტრობთ და ამიტომ უნდა გვავიწროვებდნენ. ცილს გვწამებენ როგორც ჩვენ, აგრეთვე მთავრობასაც და მთელს რუსეთის ერს, როდესაც ამბობენ, რომ ეს მათი აზრია...

„ის ხალხი, რომელიც ასეთს უსამართლობასა სწერს და ასე მტრულად გვეპყრობა, მხოლოდ თვალებს უხვევს დანარჩენთ, ვითომ პატრიოტები არიან; ისინი სცდილობენ დაარწმუნონ მკითხველნი, რომ მათს კალამს ღრმა მამულისშვილური გრძნობა და გულწრფელი ზრუნვა მამულისათვის ამოქმედებს. მაინც მათ ვერ მოუხერხებიათ თავისს აზრს მიაღწიონ. ის პატრიოტი არ არის და არც მამულისშვილური სიყვარული აქვს, ვინც სისტემატიურად სცდილობს შეასუსტოს, ან-და სრულიად მოსწყვიდოს ძირიანად საუკუნოების განმავლობაში არსებული ძმობა და სიყვარული, რომელიც საერთო მამულის კერძო ელემენტთა შორის არსებობს. პირიქით, ჭეშმარიტი და მტკიცე მამულისშვილი უნდა სცდილობდეს, რომ უფრო მეტად გაუდგას ფესვი, გაძლიეროს სიყვარული და ნდობა, რომელსაც მთავრობა ჰგრძნობს,—განამტკიცოს ერთგულება, რომელიც მუდამ გვქონია რუსეთის მონარქებისადმი, მონარქებისა, რომელთაც მშვიდობისა და მოქალაქეობის ნაყოფნი მოგვანიჭეს.

„მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ მწერალ ვაჟბატონებს აიძულებს არა მამულის სიყვარული, არამედ თავისი პირადი მოსაზრებანი და პირადი ინტერესები. ღირს მხოლოდ წაიკითხოთ მათი ნაწერი და დარწმუნდებით, რომ ისინი სრულიად არ იცნობენ ჩვენს წარსულს, არ იციან ჩვენი აწმყო, დარწმუნდებით, რომ ფაქტები, რომლებზედაც თავიანთს მსჯელობას ამყარებენ, ან განზრახ შერჩეულია, ან-და პირდ-პირ მათგანვე შეთხზულია. ხოლო ასეთს საშუალებებს მიჰმართავენ ხოლმე მოურიდებელი ავტორები იმ შემთხვევაში, როდესაც ჰსურთ ნამდვილი მიზეზი დაჰფარონ, რამ აიძულა იგინი ხელში კალამი აეღოთ. მე ნამდვილად ვიცი და ეჭვიც არა მაქვს, რომ თუ სატახტო ქალაქების გაზეთების მოთავეებმა იცოდნენ ამ კორესპონდენტთა ნაწერების ჭეშმარიტი აზრი, მაშინ ისინი თვითონვე ზიზღით შეაქცევდნენ მათ სამუდამოდ ზურგს. მაშ ასე, ბატონებო, ნუ მიაწერთ ნურავითარს მნიშვნელობას მათს ნაწერებს და დარწმუნებულნი იყავით, რომ როგორც მთავრობა, ისე თვით რუსეთის საზოგადოებაც კეთილის განწყობილებით გვეპყრობა თავად-აზნაურობასაც და მთლად ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთაც. დასამტკიცებლად ამისა გაძლევთ სიტყვას, როდესაც მაისში რუსეთს წავალ, ჩამოგიტანთ ნამდვილს ცნობებს, რომლებსაც, იმედი მაქვს, უფრო სარწმუნო და სანდო კაცებისაგან და წყაროებიდამ შევიტყობ.“ („ნ. ობ.“).

უცხოეთი

—

ინგლისი. ტრანსვაალის საქმე იმდენად არ აწუხებს ინგლისელებს, როგორც ვენესუელასი. ინგლისში არა ერთი და ორი გავლენიანი პირია, რომელთაც არ მოსწონთ ჯემსონის მოქმედება და ურჩევს საზოგადოებას ფხიზლად და რიგიანად განიხილოს საქმე. „დაილი ნიუსი“ თითქმის ყოველ-დღე სტამბავს წერილებს, რომლებშიაც აწყნარებენ საზოგადოებას და ურჩევენ ყური არ ათხოვონ ინგლისის ტორიების (კონსერვატორების) ორგანოებს. ამგვარივე სიტყვები წარმოსთქვა ჩარლზ დილკმა და ჯონ ლებოკკმა: ამ ღღეებში ნიუკასტლში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს სეკრეტარმა რიდლეიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ჯემსონის მოქმედება გაჰკიცხა და განაცხადა, რომ მთავრობა უარს ვერა ჰყოფს და მტკიცედ დაიცავს 1884 წლის ხელ-შეკრულობას ტრანსვაალთან, მაგრამ თანაც ყოველთვის პატივისცემით მოეპყრობა სხვა სახელმწიფოთა უფლებებს.

ეხლა ინგლისის მთავრობა ცდილობს მოუპოვოს საჭირო უფლება იმ ინგლისელებს, რომელნიც ტრანსვაალში სცხოვრებენ; ვენესუელას საქმე უფრო მძიმეა თუ ინგლისმა მალე არ მოჰკიდა ხელი საქმეს, კლიველენდის კომისია თავის გარდაწყვეტილებას წარუდგენს პრეზიდენტს და მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველის ძალითა და ღონით ეცდება დაიცვას ამ კომისიის გარდაწყვეტილება. სოლსბერს ურჩევენ გაზეთები, რომ თვითონაც დანიშნოს კომისსია, და ამ ორ კომისიას მიენდოს ვენესუელასა და ინგლისის შუა ატეხილი დავის გარდაწყვეტა. ამ კომისიებმა უნდა აირჩიოს ერთი პირუთვნელი თავმჯდომარე. ზოგიერთსა ჰგონია, რომ ინგლისს შეუძლია პირდაპირ ვენესუელასთან იქონიოს მოლაპარაკება და მასთან გაათავოს საქმე. მაგრამ ეხლანდელი ვენესუელას მთავრობა სრულს წინააღმდეგობას უცხადებს ინგლისს და არა სურს დაიკავოს მასთან არავითარი კავშირი. მას გარდაწყვეტილი აქვს იმოქმედოს შეერთებულ შტატებთან ერთად. და თუ ეხლანდელი მთავრობა გადააყენეს, მაშინ შეიძლება ინგლისის მოყვარე კაცები დააყენონ ქვეყნის მმართველად. მაგრამ ეს არ არის მოსალოდნელი, რადგან გენერალი კრესპო, ეხლანდელი პრეზიდენტი ვენესუელას რესპუბლიკისა, მეტად მხნე და ენერგიული კაცია. მან უკვე ჩააქრო სარევოლიუციო მოძრაობა, და დაატუსაღა ტახტის მაძიებელნი და უმთავრესი შეთქმულები. ერთი-ღა გზა დარჩენია ეხლა ინგლისს, ეს ის, რომ შტატების მთავრობასთან მოახერხოს რამე.

—

ოსმალეთი. ლონდონიდამ შემდეგი დეპეშა მოსვლია გაზ. „ნოვოსტი“-ს: „სულთანმა საპასუხო წერილი გამოუგზავნა დედოფალ ვიქტორიას, რომელშიაც სწერს, რომ ინგლისის გაზეთები აზვიადებენ საქმეთა მდგომარეობას და რომ ოსმალთ უფრო მეტი განსცდელი დაადგათ, ვიდრე სომხებსაო სომეხთა პროვინციებში“.

—

„არძაგანკის“ სიტყვით, დიარბექირის პროვინციების სოფლებში ხოლერა გაჩნდაო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲛ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛ

ამოკრებილი ამბები.

— ერთი ვარსკვლავია (მარსი), რომელსაც, მგონი, ქართულად მარეხი ჰქვიან. ეს ვარსკვლავი ყველაზე მეტად იზიდავს ვარსკვლავთ მრიცხველთა ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ. საკვირველიც არ არის. ეს ვარსკვლავი უფრო ადვილად გასასინჯი და გამოსაძიებელია, ვიდრე სხვა. დედამიწიდამ ამ ვარსკვლავამდე ხან 55, ხან 400 მილლიონი კილომეტრია, (კილომეტრი თითქმის ვერსტია) იმიტომ-რომ იგი თავისს გზაზე და ტრიალში ხან დაუახლოვდება ხოლმე დედა-მიწას და ხან განშორდება. იმ წლებში, როცა ახლოზეა, ადვილად გასასინჯია და გამოსაძიებელი ასე, რომ თოვლსა და ტბებსაც კი ჰხედავენ ამის მკვლევარნი მეცნიერნი. მეორე დედა-მიწის უახლოესი ვარსკვლავი „ვენერაა“ და რომ მარტო მანძილზე იყოს დამოკიდებული საქმე, ვენერა უფრო ადვილად გასასინჯი იქნებოდა, მხოლოდ ის აბრკოლებს, რო ვენერას გარს არტყია განუწყვეტელი მუდამი ღრუბელი, რომლისათვისაც ადამიანის თვალს, ტელლესკოპით აღჭურვილს, ვერ გაუტანებია. აქ შენიშნულია მარტო რაღაც უცნაური შავი და ლურჯი ლაქები. დედა-მიწის თანამგზავრი მთვარე კარგად გამოძიებულია, იგი მკვდარი და გარდასული ცდომილია, თუმცა ამ ბოლოს ხანებში შეუნიშნავთ მთვარეზე ზოგიერთი ნაშთი ატმოსფერისა და ვულკანების მოქმედებისა.

მარეხი-კი არამც თუ მისაწვდენია გამოსაძიებლად, არამედ გამოძიებამ აღმოაჩინა იქ იმისთანა მოვლენანი, რომელნიც ადამიანურს მოქმედებას და ადამიანურს საქმეს მოასწავებს. იმისთანა გამოჩენილნი მეცნიერნი, როგორც ჰალტონი, ჰავეისი, ლოკაიერი, ამბობენ, რომ ძალიან დასაჯერებელია, რომ მარეხზე ჩვენისთანა სულიერნი არსებობენ და სცხოვრებენო და შესაძლო არის დედა-მიწიდამ ნიშნებით გამოველაპარაკოთ და ამგზით შევიტყოთ იქაური ამბავიო.

ბუნება მარეხისა თურმე ძალიანა ჰგავს დედა-მიწის ბუნებასა. ორივე პოლიუსი მისი დათოვლილია, თოვლი ზამთრობით ბევრი მოჩანს, ზაფხულობით ნაკლები, რადგანაც ჰდნება. დიდძალი თოვლი თურმე იცის. საკვირველიც არ არის. იქ ზამთარი ათის თთვით იცის, იქაურსწელიწადს 687 დღე აქვს. რაკი ეს უზარმაზარი, ათის თთვით მოგრძოვილი თოვლი დნობას დაიწყებს, ისეთი საშინელი წყლები მოვარდება, რომ მთელს დაბლობებს, ვაკეებს იჭერს და დროებით ზღვებად და ტბებად აქცევს ხოლმე იქაურობას. ერთის სიტყვით, წარღვნაა ხოლმე, მაგრამ უშველებელი არხები, რომელიც ყველგან მოჩანს მარეხზე, ბევრად ჰშველის იქაურობას.

ის ამბავი, რომ მარეხზე თოვლია და იგი თოვლი ჰდნება, ამტკიცებს, რომ იქ ჰაერი, ატმოსფერა არის. გამოძიებამ მეცნიერის ფოგელისამ დაამოწმა, რომ იქ ჰაერი, ატმოსფერა არსებობს. ფოგელი ამბობს: „ატმოსფერა მარეხისა ისეთია, როგორიც ჩვენი და იმ ატმოსფერაში ბევრი ორთქლია წყალისაო“.

ზღვა და ხმელეთი ისე არ არის მარეხზე დაყოფილი, როგორც დედამიწაზედ. მარეხზე ხმელეთი ზღვებზე უფრო ბევრია, მაშინ, როდესაც დედამიწაზე ზღვა მეტია ხმელეთზე. იქ წყალს ცოტა ადგილი უჭირავს. წვიმები სულ არ იცის. ამას იმით ამტკიცებენ რომ იქ ღრუბელი სულ არ არის და ჰაერიც წმინდა და მჭვირვალია ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜᲐᲝ. მსწავლულთათვის ეს უღრუბლობა მარეხისა კარგია, რადგანაც მოწმენდილი ჰაერი უადვილებს სინჯვას, მაგრამ მარეხის მცხოვრებელთათვის კი (თუ კი არიან) ეგ უწვიმობა ვერაფერია. გოლვა და სიხმელე ძალიან შეაწუხებდა, რომ ხმელეთი მარეხისა აჭრელებული არ იყოს არხებითა. დიდძალის არხებით დაჭრილია მთელი იქაური ხმელეთი. ეს არხები ერთის მხრით ზაფხულის წყალ-დიდობაში ჰშველის და მეორეს მხრით მთელს ხმელეთს მარეხისას წყალს უზიდავს და ჰრწყავს. თუ ეს არხები ადამიანის ხელის საქმეა, როგორც ჰგონიათ ზოგიერთს მეცნიერს, მაშინ უნდა ვიგულვოთ, რომ საინჟენერო ხელოვნებაში მარეხის მცხოვრებნი ჩვენზე მეტად წინ წასულნი არიან. ეგრეც უნდა იყოს: მარეხი დედამიწაზე ბევრად ადრინდელია და მისთა მკვიდრთა ბევრი დრო აქვნდათ ცივილიზაციის გზაზე წინ წასვლისათვის.

განსაკუთრებული თვისება მარეხისა ის არის, რომ მისს ხმელეთს წითელი ფერი აქვს. რისაგან არის ეს და რატომ ისეთი მწვანე არ არის როგორც დედამიწა, ჯერ ვერ გამოუცვნიათ. ჰფიქრობენ, რომ იქაური მიწა წითელია და, იქნება, მცენარეობაცაო.

ზემოხსენებული არხები სიგძე და სიგანის სიდიდ-პატარაობით ირჩევიან ერთმანეთში. არის იმისთანა არხი, რომ ორასს-სამასი კილომეტრი სიგანე აქვს. ეს არხები ერთმანეთს ერთვიან, ზღვებსა და ტბებში ჩადიან და არას დროს არა სწყდებიან, არ იკარგებიან მიწაში შიგნით სადმე ხმელეთზე. როცა დროა თოვლთა დნობისა, ეს არხები უფრო მუქად მოჩანან და განიერად. აშკარაა წყალ-დიდობის მიზეზია აქ, რადგანაც წყლები მატულობს, იმიტომ—რომ, რაკი დნობა თოვლისა გათავდება ხოლმე, განი არხებისა ისევ კლებულობს და პატარავდება.

ხსენებული ზემოდ არხები ისე წყობით და ისეთს რიგზე თურმეა, რომ ძნელად საფიქრებელია ბუნებითად იყოს და არა ადამიანის ხელით ნამოქმედარი. მართალია დედამიწაზედ არის ბუნებითი არხები, მაგალითებრ, ლამანში, მოზამბიკი, მაგრამ ესენი მიხვეულ-მოხვეულნი არიან და არა აქვთ ისეთი გათანასწორებული, გეომეტრიული სანახაობა, როგორც მარეხის არხებია. იქ ისე გეგონებათ, თითქო ლარზე დაწყებულნი არიან და ლარზე გაყვანილნიო. იქ მდინარენი, ხევები, ხეობები მიკლაკნულ-მოკლაკნულნი არიან და მარტო არხებია ლარივით გასისწორიებულნი. მრავალ მხრით გატარებულნი არხები არსად არ იკარგება, არსადა უადგილო ადგილას არა სწყდება, პირდაპირ, სწორე ლარად ერთის თავიდამ მეორემდე მიდის შესარ თავად, ყოველ არხს თავი და ბოლო უჩანს, საიდამ არის წამოსული და სად ჩადის წყლიდამ წყლამდე, ანუ, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, აუზიდამ აუზამდე. ძნელი საფიქრებელია, რომ ესეთი მწყობრი განგებულობა არხებისა, ესეთი სწორედ და პირდაპირ მათი გაყვანგამოყვანა ერთის საწყლედამ მეორემდე, ბუნებას მოეხდინოს. უფრო ადვილად საფიქრებელია, რომ აქ ადამიანის ხელს ჰქონია საქმე, მარტო გონებიანს და გონიერს სულდგმულს უნდა ემოქმედნა, რომ ასე წყობილად არხები მოერიგებინა მთელს მარეხის ხმელეთზე. ერთ-ერთი არხი მაინც რომ სადმე მიწაში იკარგებოდეს, ერთ-ერთი მაინც ერთის საწყლედამ მეორემდე ლარივით პირდაპირ არ მიდიოდეს, ანუ არხები ისე არ იყოს მორიგებული, რომ თითქო განგებ არისო, კაცი ამ არხების არსებობას შემთხვევას მიაწერდა. საქმე ის არის, რომ არც ერთი ამისთანა ნიშანი ვერ შეუმჩნევიათ და ამიტომაც ჰგონიათ, რომ უადამიანოდ ამისთანა არხები ძნელად წარმოსადგენია. ერთი გამოსაცნობი ამბავი მარეხისაც ის არის, რომ ზოგჯერ ერთს არხს გვერდზე მეორე არხიც გამოუჩნდება ხოლმე და ამ სახით ორ-პირად მიდის ხოლმე ორი არხი ერთმანეთის გვერდით. მსწავლული ს. მენიე ამბობს, რომ თვალი გვატყუებს და ერთი არხი უთუოდ ორად გვეჩვენებაო.

ესეც კია: თუ იქ სიცოცხლეა რამ, ეხლანდელის ტელლესკოპით შესაძლოა დაინახონ მოდის რამე იქ თუ არა. თუ იქ მცენარეობაა რამ, უსათუოდ შეეტყობოდა იქაურ მიწის ფერს; სხვა და სხვა დროს წლისას ჭკნობა, ყვავილობა და სხვა ამისთანა ფერს შეუცვლიდა მიწის ზურგსა. აგრედვე თუ იქ, ვთქვათ, ხვნა-თესვაა და ერთობ მიწის კეთება და მუშაობა, ჯეჯილიანობას, შემოსვლას, დაყანებას და სხვას ამისთანას სხვა-და-სხვა ფერი უნდა დაედო იმ უშველებელ ხმელეთისათვის, რომელიც მარეხსა აქვს. ესეც კია, იქნება თავისს დროზე დანახულ იქმნას ამისთანა ცვლილებაცა მარეხის ხმელეთის ზურგზე. ადამიანის გონებას, როგორც ეტყობა, ბევრი შესძლებია და ვინ იცის, იქნება ესეც შეიძლოს. ვ. ი. ლ.)

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ.

—

ჩვენი დრამატიული დასი სცდილობს, რითაც იქნება ასიამოვნოს საზოგადოებას. ახალ პიესებს თამაშობენ, თუ ძველსა, უთუოდ ორსავე შემთხვევაში საუკეთესო როლები აქვთ ჩვენს უპირველესს არტისტებს. მაგრამ საზოგადოება მაინც არც ყურს და არც ჯიბეს არ იბერტყავს. მართალი უნდა ვსთქვათ, ამ სეზონში არსად ისეთი სიამოვნება არ შეუძლიან კაცს მიიღოს, როგორც ქართულს თეატრში, რადგან ოპერა სუსტია და სხვა წარმოდგენები არ არის. ეს მხოლოდ საზოგადოების ესტეტიურს გულგრილობას ამტკიცებს.

12 იანვარს წარმოდგენილ დრამაში, უმთავრესს როლს, შეშლილი ჰარლეიგისას, თამაშობდა ბ. ალექსი-მესხიშვილი და მშვენივრადაც ითამაშა. ბ-ნი მესხიშვილი დიდი ნიჭის მექონე არტისტია და ყოველს როლს ასრულებს წარჩინებულად. შეიძლება ხანდახან ქეიფზედ არ იყოს და ამით სიცხოვლე მოაკლდეს მისს თამაშს, მაგრამ მაინც ყოველთვის კარგია თავისს როლში. ყოველივე საუკეთესო მომენტს ამა თუ იმ მომქმედი პირის სულიერი მოძრაობისას დიდის სინამდვილით დაგვისურათებს ხოლმე საყვარელი არტისტი. ამ საღამოს ჩვენდა სასიამოვნოდ ბ-ნი მესხიშვილის ხმაც უკედ ისმოდა. ჩინებულად გამოხატა არტისტმა ის მომენტი, როცა პირველად გამოიჩენს შეშლილობას; ის რაღაც გამოურკვეველსა და გაშტერებულს მდგომარეობაშია, მას შემდეგ რაკი ექიმი მიუხვდება შეშლილობის მიზეზს. ხელების ქნევა და თვალების ჭყეტა არ დასჭირვებია ამ მძიმე სულიერის მდგომარეობის დასასურათებლად, მხოლოდ სახის მუსკულების მოძრაობით სარგებლობდა. ამას ზედ დაურთეთ, რომ ყოველი მოძრაობა ბ-ნ მესხიშვილისა ესტეტიურის სიმშვენიერით არის აღბეჭდილი და მაშინ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სიამოვნებით გაგვატარებია ეს საღამო ბ-ნმა მესხიშვილმა.

ძალიან კარგი იყო ბ. ყიფიანი ექიმის გარისონის როლში. ბ. ყიფიანს როგორღაც ეხერხება ასეთის დ ნჯისა და აუჩქარებელის ხასიათების დასურათება. ამგვარი როლების ასრულება-კი ხანდახან უფრო ძნელია, ვიდრე აღშფოთებულის სულის ვითარების გამოხატვა. მხოლოდ ერთი უნდა ვუსაყვედურო ბ. ყიფიანს მესამე მოქმედებაში ჰადრაკის თამაშობის დროს, როცა ვილკენსს ელაპარაკება, ბევრი კომიზმი შეიტანა, რაც სრულიად არ შეეფერებოდა არც დროს და არც ექიმის ხასიათს. სხვა თუ რაიმე ნაკლულევანება იყო ეს იმის მიზეზია, რომ არტისტმა ურეპეტიციოდ ითამაშა ეს როლი, რომელიც ბ. სვიმონიძეს უნდა ეთამაშნა.

გვარიანად აღასრულა თავისი როლი ქ-ნ ავალიშვილისამ.

ქ-ნმა მეღიქიშვილისამ-კი ნელლის როლი ვოდევილის მომქმედი პირის როლად გარდააქცია.

კომედიებს ძალიან კარგად თამაშობს ჩვენი დასი. ეს იმას-კი არ ნიშნავს, ვითომ კომედიების ასრულება უფრო ადვილი იყოს, ვინემ დრამებისა და ტრაგედიებისა. მე მგონია, აქ მთელი ერის ხასიათია მიზეზი. საფრანგეთშიაც ხომ მთელს ქვეყანაზედ უკეთესად თამაშობენ კომედიებს.

ისეთი ნიჭიერი არტისტები-კი, როგორიც ქ-ნი საფაროვისა და ბ-ნი აბაშიძეა, ჩვენი დრამატიული დასის ბრწყინვალე ვარსკვლავები, დამერწმუნეთ, იშვიათად შეგხვდებათ საზღვარ-გარეთელ სცენაზედაც. ქ-ნი საფაროვისა, თუმც თავისს უნებლიეთ ნაკლულევანებას თვითვე შეეხო ამ კომედიაში, მაგრამ მხედველობაც რომ დაჰკარგოს, მაინც ყოველივე მისი სიტყვა, ყოველივე მისი ნაბიჯი, დიდის ნიჭით იქმნება აღბეჭდილი. ისეთს უაზრო და უმნიშვნელო როლებში შეაქვს აზრი, რომ ეს კმარა მისი დიდი ნიჭის დასამტკიცებლად.

ჩვენ სასიამოვნოდ დაგვჩა, რომ მას ბ-ნ გედევანოვთან მოუხდა თამაში. ბ. გედევანოვიც ნიჭიერი არტისტია, მშრომელი და გონიერი, მაგრამ მაინც იმ უმაღლესს კომიზმს მოკლებულია მისი თამაში, რომელიც ბ-ნ აბაშიძეს აგრე ადვილად ეხერხება. ბ-ნი აბაშიძე კომიზმის გამოსახატველად ხმარობს მიმიკას, ინტონაციას ხმისას, ათასნაირ სულის ვითარებას გვისურათებს ყოველის თამაშობის დროს. ამ როლში ბ-ნი აბაშიძე (მახოხაშვილი) მით უფრო კარგი იყო, რომ ერთხელაც არ გადაუჭარბებია, რაც ხშირად იციან კომიკებმა, თვით კოკლენმაც-კი.

ძალიან კარგი იყო თავისს როლში ქ-ნი ჩერქეზიშვილისა. განსაკუთრებით მეტად ცოცხლად და ნამდვილად წარმოადგინა მრეცხავი ქალის უშნო სიმღერა.

ბ-ნი გედევანოვი (ღომაძე) ყოველთვის კარგად ასრულებს თავისს როლს და აქაც, რასაკვირველია, კარგი იყო.

ბ-ნ გუნიას (თაიგულოვი) მშვენიერი გრიმი ჰქონდა და კარგადაც ითამაშა.

წარმოდგენის ბოლოს მშვენიერი ლეკური გამართეს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 იანვარი.

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ უმთავრესის შტაბის უფროსი გენერალი დე ბუადეფერი ოფიციალურად დანიშნულია საფრანგეთის წარმომადგენელად მათის უდიდებულესობის წმიდა დაგვირგვინებაზედ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ჯარის შემცირება ვერ ექნა შესაძლებელი ქურთების აღშფოთების გამო ქურთებთან ჯარს მრავალჯერ შეტაკება მოხდომია. დიდის თოვლის გამო ლაშქარი დაბრკოლებულია და მხოლოდ გაზაფხულზე შესაძლებელია წესიერების აღდგენა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 12 იანვარს სტეინიცისა და ჩიგორინის თამაში გაყაიმდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გასაცემი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7,50	7,50	— „
5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	— „	— „	212¼
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	100	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. .	100½	— „	— „
5% იმავე ბანკისა. .	98½	— „	— „
6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა	100½	— „	— „
5%იმავე ბანკისა .	— „	— „	99¼
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	99

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.

2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქაღალდზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მი ერ. სურათით, მშვენიერს ქაღალდზედ 20 კ.

4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

ᲛᲢᲠᲔᲓᲘ.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

მაქვს ფარჩაზედ დახატული **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡ** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-საბოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის სარდიდოზელი (აბაჟური) **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲛᲨᲕᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დროგიშვილის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.